



სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
თავმჯდომარის 2024 წლის 3 აპრილის N04/277 ბრძანების შესაბამისად
განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების
დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 3 აპრილის N04/277 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს მოვაჭრის - სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა 24-ე მუხლის და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.
4. მოვაჭრეს დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე საქართველოს კონკურენციისა და


მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დაავისროს შესაბამისი ჯარიმა.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024
წლის 3 აპრილის №04/277 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის
თაობაზე

ქ. თბილისი

2024

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი	3
1.1 განმცხადებლების პოზიცია	3
1.2 მოვაჭრის პოზიცია	3
თავი 2. ნორმატიული რეგულირება	5
თავი 3. სამოტივაციო ნაწილი	8
3.1. მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესი და საქმის შესწავლის შეწყვეტის საფუძველი	8
3.2. უმოქმედობით გამოსატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა	10
თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი	15

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარდგენილ იქნა მოქალაქე 2024 წლის 21 მარტის №01/1596 (შემდგომში - განმცხადებელი/მომხმარებელი) განცხადება - სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ს 2024 წლის 21 მარტის №01/1596 განცხადების საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 3 აპრილის №04/277 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

1.1 განმცხადებლების პოზიცია

მოქალაქე 2024 წლის 21 მარტის №01/1596 განცხადების თანახმად, მომხმარებლის კუთვნილი ორი ამანათი 2024 წლის 27 და 28 თებერვალს ჩაბარდა მოვაჭრის ჩინეთში მდებარე საწყობს. თუმცა, მოვაჭრემ არ განახორციელა აღნიშნული ამანათების საქართველოში ტრანსპორტირება, რადგან ისინი განეკუთვნებოდა იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რომელთა ტრანსპორტირებაც აკრძალულია. განმცხადებელი განმარტავს, რომ მისთვის ნივთების გამოწერის დროს უცნობი იყო შეძენილი ნივთების ტრანსპორტირების აკრძალვის შესახებ და აღნიშნული ჩამონათვალი მოვაჭრემ მის მიერ ნივთის შეძენის შემდეგ შეცვალა. მომხმარებელი ითხოვს მისი კუთვნილი ამანათების საქართველოში ჩამოტანას ან თანხის ანაზღაურებას.

განმცხადებლის მიერ თანდართულ მტკიცებულებად წარმოდგენილ იქნა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის კომუნიკაციის ამსახველი ეკრანის ანაბეჭდები (ე.წ სქრინ შოთი) და მოვაჭრის ვვებგვერდზე განთავსებული მომსახურების პირობებში ტრანსპორტირებისთვის აკრძალული პროდუქციის ჩამონათვალი.

მომხმარებელმა 2024 წლის 4 აპრილის N01/1962 წერილით მომართა სააგენტოს და აცნობა მოვაჭრის მიერ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

2024 წლის 18 აპრილის N01/2280 წერილით მომხმარებელმა კვლავ მომართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა მოვაჭრემ დააკმაყოფილა და მოითხოვა საქმის შესწავლის შეწყვეტა.

1.2 მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს 2024 წლის 22 მარტის №02/1134 წერილით მოვაჭრეს ეცნობა განმცხადებლის მოთხოვნის თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოსადგენად.

სააგენტოს 2024 წლის 22 მარტის №02/1134 წერილის პასუხად, 2024 წლის 28 მარტის №01/1753 წერილით მოვაჭრემ წარმოადგინა პოზიცია 2024 წლის 21 მარტის №01/1596 განცხადებასთან დაკავშირებით.

მოვაჭრის განმარტებით, 2024 წლის 27 თებერვალს ჩინეთის საწყობში მიიღო მომხმარებლის ამანათი, რომლის გამოგზავნაც შეჩერდა, რადგან პროდუქცია შეიცავს ჩინეთიდან ტრანსპორტირებისთვის აკრძალულ ნივთს და მის შემადგენელ ნაწილს- ელემენტის სახით. მოვაჭრის ინფორმაციით, მომხმარებელს ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული ჩამონათვალის შესახებ, რადგან მოვაჭრის ვებგვერდზე (<https://www.usa2georgia.com/agreement/ka>) განთავსებული „ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულების“ (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-10 მუხლში მითითებულია პროდუქციის ჩამონათვალი, რომელთა ტრანსპორტირებაც აკრძალულია. მათ შორის, აკრძალული იყო ელემენტის ტრანსპორტირება, შესაბამისად, აკრძალული იყო იმ პროდუქციის ტრანსპორტირებაც, რომელიც შეიცავს ელემენტს და ვინაიდან, მომხმარებლის მიერ გამოწერილი ნივთი შეიცავს ელემენტს, შეუძლებელი იყო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირება.

მოვაჭრე დამატებით განმარტავს, რომ მომხმარებელთა თვალსაჩინოებისთვის, ხელშეკრულების პირობებში დააზუსტა განმარტება, რომ „ნებისმიერი პროდუქცია, რომელშიც არის ელემენტი ან იტენება“ არის ასევე აკრძალული. ამასთან, მოვაჭრე აღნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ პროდუქციის გახსნის/დაშლის/განცალკევების არც მომსახურება და არც ვალდებულება, შესაბამისად ვერ შეძლებს მომხმარებლის პროდუქციის დაშლას, მხოლოდ ელემენტის გარეშე გამოგზავნას. მოვაჭრის ინფორმაციით, მომხმარებელი ითხოვს მოვაჭრის მიერ ისეთი მოქმედების შესრულებას, რომლის ვალდებულებაც მოვაჭრეს არც კანონით და არც ხელშეკრულებით არ გააჩნია. რაც შეეხება მომხმარებლის მეორე ამანათს, ის უკვე გამოიგზავნა საქართველოში და აღნიშნულზე ეცნობა მომხმარებელს.

სააგენტოს 2024 წლის 4 აპრილის N02/1296 წერილით მოვაჭრეს ეცნობა სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 3 აპრილის №04/277 ბრძანებით საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე.

მოვაჭრემ 2024 წლის 19 აპრილის N01/2309 წერილით მომართა სააგენტოს და განმარტა, რომ მომხმარებლის ამანათი (თრეინგ კოდი: YT7448424375241) ჩამოტანილ იქნა საქართველოში ალტერნატიული გზით, ამანათი მომხმარებელმა უკვე მიიღო და მას პრეტენზია არ გააჩნია.

სააგენტოს 2024 წლის 25 აპრილის N02/1662 წერილით, საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, მოვაჭრისგან დამატებით გამოთხოვილი იქნა მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ: 205243048) ვებგვერდზე განთავსებული იყო მომხმარებელ (და მოვაჭრეს შორის სახელშეკრულები ურთიერთობის დაწყების დროს, 2024 წლის 23 მარტამდე (ბოლო განახლებამდე).

მოვაჭრემ 2024 წლის 30 აპრილის N01/2476 წერილით მომართა სააგენტოს და განმარტა, რომ ელემენტების და ელემენტებიანი ელექტრო საქონლის ტრანსპორტირებაზე მსოფლიოში დაწესებულია შეზღუდვები ავიაგადამზიდავის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გააჩნია განსაკუთრებული შეზღუდვები საჰაერო გადაზიდვებისას საფრთხის შემცველ ტვირთებთან მიმართებით. საქართველოში ამ მიზნით რეგულაციები განსაზღვრულია „საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმებით, ასევე საქართველოს საჰაერო კოდექსით.

აგრეთვე, 2024 წლის 30 აპრილის N01/2474 წერილით მოვაჭრემ დამატებით განმარტა, რომ კომპანიის სავაჭრო პოლიტიკა განსაზღვრული იყო ვებგვერდზე www.usa2georgia.com (შემდგომში - ვებგვერდი) განთავსებული დისტანციურად გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით მის ბოლო განახლებამდე, 2024 წლის 23 მარტამდე. მოვაჭრეს არ წარმოუდგენია სააგენტოს 2024 წლის 25 აპრილის N02/1662 წერილით მოთხოვნილი მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკა.

სააგენტოს 2024 წლის 2 მაისის N02/1739 წერილით საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით მოვაჭრისგან, კიდევ ერთხელ, გამოთხოვილ იქნა სააგენტოს 2024 წლის 25 აპრილის N02/1662 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად.

2024 წლის 15 მაისის N01/2626 წერილით მოვაჭრემ წარმოადგინა გამოთხოვილი სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც განთავსებული იყო ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ ნივთის შეძენის დროს.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის მიხედვით: ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს შემდეგი უტყუარი და სრული ინფორმაცია (თუ ეს ინფორმაცია თავისთავად ცხადი არ არის): საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უსამართლო კომერციული საქმიანობა აკრძალულია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია თუ რა მიიჩნევა უსამართლო კომერციულ საქმიანობად. უსამართლო კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა ან აგრესიული კომერციული საქმიანობა. შეცდომაში შემყვანი უსამართლო კომერციული საქმიანობა თავის მხრივ იყოფა მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად და უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეცდომაში შემყვანია მოვაჭრის უმოქმედობით გამოხატული უსამართლო კომერციული საქმიანობა, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და საკომუნიკაციო საშუალების მახასიათებლების შეზღუდულობის გათვალისწინებით, ინფორმაციის ფაქტობრივი შინაარსი არ შეიცავს არსებით ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება,

რის შედეგადაც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში არ დადებდა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საქონლის ან მომსახურების შეძენის შეთავაზების შემთხვევაში არსებით ინფორმაციად მიიჩნევა შემდეგი ინფორმაცია (თუ იგი ისედაც აშკარად არ გამომდინარეობს მისი შინაარსიდან):

ა) საქონლის ან მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ, საქონლის ან მომსახურების და ინფორმაციის მატარებლის თავისებურებების გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების, აგრეთვე მოვაჭრის წარმომადგენლის სახელის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ;

გ) საქონლის ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით; თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – ძირითადი ფასის გამოთვლის წესის თაობაზე; თუ დამატებითი ხარჯების წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია – ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება წარმოიშობა;

დ) გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ, აგრეთვე მოვაჭრის მიერ მომხმარებლის საჩივრის განხილვის წესის თაობაზე;

ე) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო იღებს საქმის შესწავლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას განმცხადებლის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ კანონის მოთხოვნების დარღვევისას მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიადგეს;

საერთაშორისო კანონმდებლობა:

უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29/EC (UCPD) (შემდგომში - 2005/29/EC დირექტივა) დირექტივა წარმოადგენს ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს, მისი მოქმედების ფართო სფეროსა და ჰორიზონტალური ხასიათის გამო. 2005/29/EC დირექტივა ადგენს რეგულაციებს, რომლებიც კრძალავენ შეცდომაში შემყვან და აგრესიულ კომერციულ პრაქტიკას, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე. დირექტივის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს უმოქმედობით გამოწვეული, კერძოდ არსებითი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის ცნებას.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/ EEC სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ (შემდგომში - 93/13/ EEC დირექტივა) მიზნად ისახავს გამყიდველსა ან მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების

უსამართლო პირობებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოებას. ასევე, მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის შიდა ბაზრის განვითარებას მომხმარებელთა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური რისგებისგან დაცვის გზით, რომელიც შემთავაზებულმა, როგორც უკეთ ინფორმირებულმა და უფრო ძლიერმა ბაზრის მოთამაშემ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულების უფრო „სუსტ მხარესთან“ შეიძლება გადაამისამართოს.¹

93/13/ EEC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნის საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში.

93/13/ EEC დირექტივის მე-3 მუხლითა და დანართით განსაზღვრულია იმ პირობათა შინაარსი, რომლებიც შესაძლოა უსამართლოდ იქნეს მიჩნეული.

უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC (UCPD) დირექტივის (შემდგომში - 2005/29/EC დირექტივა) მე-7 მუხლის მიხედვით კომერციული პრაქტიკა, ასევე, მიიჩნევა შეცდომაში შემყვანად, თუ, მის ფაქტობრივ კონტექსტში, ყველა მისი მახასიათებლისა და გარემოების და საკომუნიკაციო საშუალებების შეზღუდვების გათვალისწინებით, ის არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს სჭირდება, კონტექსტიდან გამომდინარე, რათა შესყიდვის შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ის იწვევს ან სავარაუდოდ, გამოიწვევს საშუალო მომხმარებლის მიერ შესყიდვის შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც ის სხვა შემთხვევაში არ მიიღებდა.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესყიდვის განხორციელების შეთავაზების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიიჩნევა შემდეგი ინფორმაცია, თუ ის უკვე აშკარა არ არის კონტექსტიდან:

1. პროდუქტის მთავარი მახასიათებლები, კომუნიკაციის საშუალებისა და პროდუქტისთვის შესაფერისი მოცულობით;
2. მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და ვინაობა, როგორცაა მისი სავაჭრო დასახელება და, საჭიროების შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი ან ვინაობა, რომლის სახელითაც ის მოქმედებს;
3. ფასი, გადასახადების ჩათვლით, ან თუ პროდუქტის ბუნება არ იძლევა ფასის წინასწარ გამოთვლის საშუალებას, ფასის გამოთვლის მეთოდი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტირებასთან, მიწოდებასთან ან საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ხარჯი, ან თუ ამ ხარჯების გამოთვლა წინასწარ შეუძლებელია, მითითება, რომ დამატებითი ხარჯები შეიძლება დასაფარი გახდეს;
4. გადახდის, მიწოდებისა და შესრულების წესი და საჩივრების მართვის პოლიტიკა, თუ ისინი პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნებს გადაუხვევს;

¹ ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, 2018 წელი, თბილისი, გვ:40

5. ისეთი პროდუქციისა და გარიგებების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება გარიგებიდან გასვლის ან გაუქმების უფლება, ამგვარი უფლების არსებობა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესი და საქმის შესწავლის შეწყვეტის საფუძველი

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა.

პროცედურის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო იწყებს მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლას, თუ მას აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მოვაჭრის ქმედებ(ებ)ის შედეგად ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს მომხმარებელთა ჯგუფის უფლება და მათ ინტერესს ადგება ან შესაძლოა მიადგეს ზიანი.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის არსებობის შეფასებისას სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება

გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი უნარი, გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცვათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.²

ამ კუთხით სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის 2020/1828 დირექტივაზე (შემდგომში - 2020/1828 დირექტივა). 2020/1828 დირექტივის მიხედვით, მომხმარებელთა დაცვის სამართალი იცავს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებებსა და ინტერესებს მოვაჭრის ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ერთობლივად საზიანო იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის. აღსანიშნავია, რომ 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განმარტავს, რომ კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ჯგუფური ინტერესი გულისხმობს არა ცალკეული მომხმარებლის ინდივიდუალური ინტერესს, არამედ მომხმარებელთა გარკვეული წრის ერთობლივ ინტერესს. კოლექტიური/ჯგუფური ინტერესის კონცეფცია განსხვავდება ინდივიდუალური ინტერესების ჯამისაგან და მეტწილად ფოკუსირებულია მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების სამომავლო ხელყოფის პრევენციაზე და არა რამოდენიმე მომხმარებლის ხელყოფილი ინდივიდუალური უფლებების აღდგენაზე. ამასთან, აღნიშნული არ ზღუდავს კონკრეტულ მომხმარებელს გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და მისი, როგორც მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს სააგენტოს.

განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე თავისი სავაჭრო ვებგვერდის მეშვეობით, მომხმარებელს სრულად არ აწვდიდა სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებლისთვის განკუთვნილი წესების და პირობების ერთობლიობა) შესახებ ინფორმაციას და ამასთან არ ასრულებდა მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურების გაწევის ვალდებულებას, მას სავარაუდო ზიანი შეეძლო მიეყენებინა არა მხოლოდ კონკრეტული მომხმარებლისთვის, არამედ, ნებისმიერი პოტენციური მომხმარებლისთვის, რომელსაც ექნებოდა სურვილი, მოვაჭრისგან შეეძინა შეთავაზებული მომსახურება. შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 3 აპრილის №04/277 ბრძანების საფუძველზე დაიწყო განცხადებაში დასმული სავარაუდო სამართალდარღვევების შესწავლა.

2024 წლის 18 აპრილის N01/2280 წერილით მომხმარებელმა მომართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ მისი მოთხოვა მოვაჭრემ დააკმაყოფილა და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

² Cass Crim, 20 May, 1985, bull crim 485

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურა“ გარდა საქმის შესწავლის დაწყების საფუძვლებისა, განმარტავს საქმის შესწავლის შეწყვეტის საფუძვლებს. პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო იღებს საქმის შესწავლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას წარმოების შეწყვეტის შესახებ განმცხადებლის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ კანონის მოთხოვნების დარღვევისას მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი აღგება ან შესაძლოა მიადგეს.**

განსახილველ საქმეში მხარეების მიერ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ მოვაჭრე 2024 წლის 23 მარტამდე (ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანამდე) ხელშეკრულების დადებამდე ვებგვერდის საშუალებით მომხმარებლებს არ აწვდიდა სრულ ინფორმაციას მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ. კერძოდ,.... აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვაჭრეს სავარაუდო ზიანი შეეძლო მიეყენებინა არა მხოლოდ კონკრეტული მომხმარებლისთვის, არამედ, ნებისმიერი პოტენციური მომხმარებლისთვის, რომელსაც ექნებოდა სურვილი, მოვაჭრისგან შეეძინა საქონელი ან მომსახურება. ვინაიდან სახეზეა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი, შესაბამისად, არ არსებობს საქმის შესწავლის შეწყვეტის საფუძველი.

3.2. უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლისთვის უტყუარი და სრული ინფორმაციის მიწოდება განსაზღვრავს მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევას, იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომელიც მას მიაწოდეს ან მისთვის არის განკუთვნილი.

კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უსამართლო კომერციული საქმიანობა აკრძალულია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია თუ რა მიიჩნევა უსამართლო კომერციულ საქმიანობად. კერძოდ, უსამართლო კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა ან აგრესიული კომერციული საქმიანობა. შეცდომაში შემყვანი უსამართლო კომერციული საქმიანობა თავის მხრივ იყოფა მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად და უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად.

განსახილველ საქმეში სააგენტო აფასებს უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობას, კერძოდ, კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, შეცდომაში შემყვანია მოვაჭრის უმოქმედობით გამოხატული უსამართლო კომერციული საქმიანობა, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და საკომუნიკაციო საშუალების მახასიათებლების შეზღუდულობის გათვალისწინებით, ინფორმაციის ფაქტობრივი შინაარსი არ შეიცავს არსებით ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება, რის შედეგადაც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში არ დადებდა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საქონლის ან მომსახურების შეძენის შეთავაზების შემთხვევაში არსებით ინფორმაციად მიიჩნევა შემდეგი ინფორმაცია (თუ იგი ისედაც აშკარად არ გამომდინარეობს მისი შინაარსიდან):

ა) საქონლის ან მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ, საქონლის ან მომსახურების და ინფორმაციის მატარებლის თავისებურებების გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების, აგრეთვე მოვაჭრის წარმომადგენლის სახელის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ;

გ) საქონლის ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით; თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – ძირითადი ფასის გამოთვლის წესის თაობაზე; თუ დამატებითი ხარჯების წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია – ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება წარმოიშობა;

დ) გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ, აგრეთვე მოვაჭრის მიერ მომხმარებლის საჩივრის განხილვის წესის თაობაზე;

ე) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, უსამართლო კომერციული საქმიანობა მოწესრიგებულია ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით. კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2005/29/EC (UCPD) (შემდგომში - 2005/29/EC დირექტივა) წარმოადგენს ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს, მისი მოქმედების ფართო სფეროსა და ჰორიზონტალური ხასიათის გამო. 2005/29/EC დირექტივა ადგენს რეგულაციებს, რომლებიც კრძალავენ შეცდომაში შემყვან და აგრესიულ კომერციულ პრაქტიკას, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე. 2005/29/EC დირექტივის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს უმოქმედობით გამოწვეული, კერძოდ, არსებითი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის ცნებას. აღნიშნულ დეფინიციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ევროკავშირის სამართალი არ მოითხოვს, რომ მომხმარებელი იყოს უკვე დაზარალებული უსამართლო კომერციული პრაქტიკისგან. ამ შემთხვევაში, მთავარია კომერციული პრაქტიკა ნეგატიურად ეხებოდეს მომხმარებელს.

სანამ უშუალოდ მოვაჭრის ქმედება შეფასდება, მნიშვნელოვანია განიმარტოს „საშუალო მომხმარებელი“, რადგან როგორც კანონი, ისე 2005/29/EC დირექტივა (UCPD), უსამართლო კომერციული საქმიანობის შეფასებისას, ამოსავალ ნიშნულად სწორედ საშუალო მომხმარებელს მიიჩნევენ. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, საშუალო მომხმარებელი შეფასებულია, როგორც საკმარისად კარგად ინფორმირებული და საკმარისად დაკვირვებული და წინდახედული. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ, საქმეზე Gut Springenheide vs Germany, 1998 წლის 16 ივლისს, პრეცედენტული სამართლის მითითებით დაადგინა, რომ ქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „საშუალო“ მომხმარებლის სავარაუდო მოლოდინები, რომელიც გონივრულად კარგად ინფორმირებულია და გონივრული დაკვირვების შედეგად შეიძენს პროდუქტს/მომსახურებას. შემდგომის ცოდნის რეალიზება პროდუქციის არჩევისას, გულისხმობს, რომ ის, როგორც წესი, მთლიანად აღიქვამს ობიექტს, ცნობს მის ღირბინს და აქვს უნარი გაეცნოს მასზე მითითებულ ინფორმაციას. იმიტომ არის მნიშვნელოვანი „საშუალო“ მომხმარებლის ჰორიზონტიდან დანახული საქონელი, რომ „საშუალო“ მომხმარებლის მიერ პროდუქციის

შეფასება ხორციელდება თანაბარზომიერად, საქონლისა და მომსახურების დონის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო მომხმარებლის ცნება არ არის სტატისტიკური და იგი განსაზღვრული უნდა იქნას ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას საშუალო მომხმარებლის ტიპური რეაქციის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები.³ გამომდინარე იქიდან, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული იქნა 2022 წელს, ხოლო მანამდე არ არსებობდა ამ სფეროს მომწესრიგებელი სრულყოფილი კანონმდებლობა და საქართველოს მოსახლეობის ცნობიერება ამ კუთხით ამაღლებული არ არის, შესაძლოა საქართველოს მოსახლეობა მიჩნეული იქნას მოწყვლად მომხმარებლად.

როგორც აღინიშნა, ევროპული სამართლის მიხედვით, საშუალო მომხმარებელი უნდა იყოს, გონივრულად კარგად ინფორმირებული, გონივრულად დაკვირვებული და გონივრულად ფრთხილი. აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება საინფორმაციო პარადიგმას, რომელსაც ეყრდნობა მთელი ევროკავშირის მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი, იმ დანაწესიდან გამომდინარე, რომ არასაკმარისად ინფორმირებული მომხმარებელი იწვევს არაეფექტურ ბაზარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ევროპული სამართალი ერთი მხრივ ავალდებულებს მოვაჭრეს საქონლის/მომსახურების შესახებ არსებითი ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას და მეორე მხრივ იცავს იმ მომხმარებელს, რომელმაც გამოიჩინა ძალისხმევა მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მოსაძიებლად და მისაღებად, და არა იმ მომხმარებელს, რომელმაც უგულვებელყო მოვაჭრის მიერ სათანადოდ მიწოდებული/ სათანადოდ ადგილზე განთავსებული ინფორმაცია.

შესაბამისად, მოვაჭრის მიერ შეცდომაში შემყვანი უსამართლო კომერციული საქმიანობის, მათ შორის უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი უსამართლო კომერციული საქმიანობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის/მომსახურების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი, ისე მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მისაღებად/აღსაქმელად დახარჯული ძალისხმევა.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მომხმარებელს და მოვაჭრეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ხელშეკრულების გათვალისწინებით, მოვაჭრეს წარმოეშვა ვალდებულება ექსპედიტორის მიერ მიღებული ტვირთის საქართველოში საექსპედიციო გადაზიდვის მომსახურება გაეწია.

მოვაჭრის კუთვნილ ვებგვერდზე განთავსებული ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულება უთითებს საგამონაკლისო შეზღუდვებს პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

მომხმარებლის მიერ საქმეში წარმოდგენილია ევრანის ანაბეჭდები (ე.წ. სქრინშოტები), რომელზედაც ასახულია ზემოხსენებულ „ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის“ ხელშეკრულებაში არსებული ჩამონათვალი, რომელთა ჩინეთიდან საფოსტო გზავნილით გამოგზავნა აკრძალულია, ასევე მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის არსებული მიმოწერა. მოვაჭრის 2024 წლის 15 მაისის N01/2626 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის

³ დირექტივა 2005/29/EC (UCPD) პრეამბულა პარ. 18

შესაბამისად, მოვაჭრის მიერ მომხმარებელ სახელშეკრულებო ურთიერთობის შესვლამდე და ურთიერთობის დროს ჩინეთიდან საფოსტო გზავნილის სახით გამოგზავნისთვის აკრძალული ნივთების ჩამონათვალი ხელშეკრულების 10.1 პუნქტში იყო შემდეგი სახის:

„ჩინეთი

აკრძალულია საფოსტო გზავნილით შემდეგი სახის ნივთების გამოგზავნა:

- ალკოჰოლური სასმელები;
- ანტიკვარული ნივთები;
- ბასრი ნივთები (დანა, მაკრატელი და სხვა);
- ბიოარომატიზატორები;
- ბრენდული ნივთები;
- **ელექტრო ბატარეები და აკუმულატორები;**
- ვიტამინები;
- თერმომეტრი;
- თუთუნი;
- კბილის პასტა;
- კოსმეტიკური საშუალებები (მანიკური, აცეტონი, კრემები, თვალის ჩრდილები და სხვა);
- ლეპტოპის ელემენტები და უწყვეტი დენის წყაროები (Powerbank; Wireless speaker);
- მაგნიტები;
- მობილური ტელეფონები;
- მიწა და ნერგები მიწით;
- მშვილდი, არბალეტი;
- მცენარეები, ნერგები ან მათი თესვები;
- ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პროდუქცია;
- ნიღაბი;
- პორნოგრაფიული სახის პროდუქცია;
- ჟურნალები და კატალოგები;
- საბანკო და საკრედიტო ბილეთები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- საკვები პროდუქტები;
- სამედიცინო დანიშნულების ტვირთები;
- სამიზნეები;
- საღებავები;
- სითხის შემცველი ამანათები;
- ტოქსიკური ნივთიერებები (მხამი და მომწამვლელი ნივთიერება, მაგალითად: ნიკოტინი, ანტიფრიზი, საბუნრუჟე სითხე, ვერცხლის წყალი და სხვა);
- ფეთქებადი ან/და აალებადი ნივთები (სპრი, პულვერიზატორი, დეზადორი, აეროზოლი და სუნამო; სანთებელა, სანთელი, ელექტროსანთებელა, ელექტროსიგარეტი);
- ფეინთბოლის თოფები და მათი აქსესუარები;
- ფიტულები, ძვლები, ბეწვი, სპილოს ძვალი და ა.შ.;
- ფლომასტერები;
- ფსიქოტროპული მედიკამენტები;
- ფული, მონეტები ან ბანკნოტები;
- ფხვნილი, დაპრესილი ფხვნილი;
- ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღები, მათი ნაწილები ან აქსესუარები, სათამაშო იარაღები;
- ცხოველები, მცენარეები, თევზები, ჩიტები, მღრღნელები და ა. შ.;
- ძვირფასი ნივთები: ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები ან/და სამკაულები;
- წამლები (10 შეკვრაზე მეტი);

- *წივის ქვეშ მყოფი ამანათები: სუნამო, დეოდორანტი, სპრეი.*“

აღნიშნული რედაქცია მოვაჭრის მიერ შეიცვალა და ვებგვერდზე განთავსდა 2024 წლის 23 მარტს შემდეგნაირად „აკრძალულია საფოსტო გზავნილით შემდეგი სახის ნივთების გამოგზავნა - ნებისმიერი პროდუქცია, რომელშიც არის ელემენტი/აკუმულატორი ან/და იმუხტება ელექტროენერჯით“, მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა 2024 წლის 21 მარტის N01/1596 განცხადებით მომართა სააგენტოს. მოვაჭრე სააგენტოში წარმოდგენილ 2024 წლის 28 მარტის N01/1753 წერილში განმარტავს, რომ მომხმარებლებისთვის უფრო თვალსაჩინოებისთვის ხელშეკრულების პირობებში დაემატა განმარტება, რომ „ნებისმიერი პროდუქცია, რომელშიც არის ელემენტი ან იმუხტება“ არის ასევე აკრძალული. მხარეების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, რომ მომხმარებელ და მოვაჭრეს შორის არც წინასახელშეკრულებო და არც სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე არ ყოფილა მიწოდებული მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე ნეგატიურად იმოქმედებდა.

მომხმარებლის მიერ სააგენტოში წარმოდგენილია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციის ამსახველი ეკრანის ანაბეჭდი (ე.წ. სქრინ შოთი), რომლითაც დგინდება, რომ მომხმარებელმა დამატებით გამოიჩინა ინიციატივა მიეღო ამანათის ტრანსპორტირების შესაძლებლობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია. ეკრანის ანაბეჭდიდან ირკვევა, რომ მოვაჭრე მომხმარებელს უდასტურებს ამანათის ჩინეთიდან საქართველოში ტრანსპორტირების შესაძლებლობას. შესაბამისად, მოვაჭრის მიერ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე მიწოდებულმა ინფორმაციამ იმოქმედა მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე და მოვაჭრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობით შეიბოჭა.

უნდა აღინიშნოს, მომხმარებელს აქვს მოლოდინი, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაცია არის სწორი და განსხვავებულად არ მოხდება მისი განმარტება. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გონივრული, იგივე, საშუალო მომხმარებელი ჩანაწერს „ელექტრო ბატარეები და აკუმულატორები“ აღიქვამს, ისე, როგორც წერია - ანუ აკრძალულია ცალკეული ნივთის, ბატარეის და აკუმულატორის ტრანსპორტირება. განსახილველი ფორმულირება, მთლიანი პირობის შინაარსის გათვალისწინებით, არ აჩენს იმის ეჭვს, რომ ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს არასწორი და ჩანაწერში შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა დამატებითი შინაარსი.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ (შემდგომში - მართლმსაჯულების სასამართლო), უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან უსამართლო კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის შეფასებისას გასათვალისწინებელია კონტექსტი, რომელშიც ეს ქმედება ხორციელდება. მართლმსაჯულების სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას და კონტექსტის გათვალისწინებისას დაცული უნდა იყოს ბალანსი, რათა ხელი არ შეემალოს UCPD-ის მიერ დასახული მიზნების (ანუ მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა) მიღწევას. შესაბამისად, თუ კი მოვაჭრისთვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოება, იგი ვალდებულია ყველა არსებითი ინფორმაცია დეტალურად მიაწოდოს მომხმარებელს.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტზე და მის მნიშვნელობაზე, ვინაიდან, მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების შეძენის შესახებ

გონივრული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროებს სრულ და გარკვეულ ინფორმაციის საქონლის ან/და მომსახურების შესახებ. სახელშეკრულებო ურთიერთობაში, სადაც ერთი მხარე მომხმარებელია, ინფორმაციის მიწოდება მოვაჭრის უპირობო ვალდებულებაა. მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს ან არ გაეცნოს ინფორმაციას ხელშეკრულების არსებითი თუ სხვა პირობების შესახებ. წინდახედულობის სტანდარტი — იცის ან უნდა სცოდნოდა — შემოიფარგლება მოვაჭრის პასუხისმგებლობით მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულეზე, თუმცა გავლენას არ ახდენს მომხმარებელზე, რომელმაც უგულებელყო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში აქცენტი გადატანილია ინფორმაციის მიღების უფლებაზე და არა მხარის ვალდებულებაზე მოიპოვოს ეს ინფორმაცია.⁴

საქმეზე „Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer“ საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ მეწარმე პირი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თვითონ მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.⁵

სააგენტო მიიჩნევს, რომ ამანათის გაგზავნის მომსახურების შეთავაზებისას, მომსახურების არსებით მახასიათებელს წარმოადგენს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სახის პროდუქციის ტრანსპორტირებაა აკრძალული. შესაბამისად, ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება ან არასრულად მიწოდება მიჩნეული უნდა იქნას უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ ადგილი აქვს მოვაჭრის მიერ უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან უსამართლო კომერციულ საქმიანობას. კერძოდ, კანონის 24-ე მუხლის და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რადგან, მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის ფაქტობრივი შინაარსი არ შეიცავდა კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება, რის შედეგადაც მომხმარებელი არ დადებდა ხელშეკრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ მოვაჭრემ უზრუნველყო მომხმარებელ () კუთვნილი სადავო ამანათის საქართველომდე ტრანსპორტირება, მოვაჭრე ვალდებულია ადადგინოს იმ მომხმარებლების დარღვეული უფლება, რომელთაც მოვაჭრის ვებგვერდზე (<https://www.usa2georgia.com/>) განთავსებული „ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულების“ 10.1 პუნქტში ცვლილების შეტანამდე მოვაჭრის მხრიდან უარი ეთქვათ იმ ამანათების ტრანსპორტირებაზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის ელემენტი/აკუმულატორი ან/და იმუხტება ელექტროენერგიით.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2

⁴ თ. ლაკერბაია, „ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი“, სამართლის ჟურნალი, №1, 2015.

⁵ იქვე.

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა

დადასტურდეს სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.